

# დოლიძის უბნის სივრცით-გეგმარებითი რეკონსტრუქცია

ნოდარ ჩარკვიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე, თანამედროვე არქიტექტურისა და მდგრადი განვითარების მიმართულების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ მათიაშვილი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნოდარ ჩარკვიანი

10.02.2020

## აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია თბილისში არსებული ქალაქგეგმარებითი ტენდენციები, მათი გამომწვევი მიზეზები და მოსალოდნელი შედეგები. არსებული მდგომარეობის უკეთ გასააზრებლად წარმოდგენილია ერთგვარი ისტორიული ექსკურსი, ხოლო დეტალური განხილვისთვის არჩეულია კონკრეტული ლოკაცია, რომლის ანალიზის შედეგია ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილი საპროექტო წინადადება.

კვლევის მიზანს წარმოადგენს თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში მდებარე, ვ. დოლიძისა და ს. ჩიქოვანის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიის სივრცულ-ფუნქციური დაგეგმარების ანალიზი, არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების ძიება.

შერჩეული ტერიტორია შეიძლება განვიხილოთ, როგორც საბჭოთა პერიოდში თბილისში ჩამოყალიბებული განაშენიანების საპილოტე მაგალითი, რაც კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის სხვა მსგავსი ქალაქგეგმარებითი ერთეულების გასაუმჯობესებლად გამოყენების საშუალებას მოგვცემს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ასეთ შემთხვევაში მისაღებია მხოლოდ კვლევის ზოგადი მიდგომების გათვალისწინება და თითოეული განსხვავებული ლოკაცია დამოუკიდებელი კვლევის საგანს უნდა წარმოადგენდეს.

კვლევაში ასევე განხილულია რელევანტური ქალაქგეგმარებითი მიდგომების საერთაშორისო მაგალითები. ცალსახადაა წარმოდგენილი ამათუიმ გადაწყვეტილების დადებითი და უარყოფითი მხარე და ამ გამოცდილების საკვლევ ტერიტორიაზე ინტეგრაციის შესაძლებლობა.

კვლევის საბოლოო შედეგად და შემაჯამებელ რეკომენდაციად შეგვიძლია მივიჩნიოთ მიღებული ინფორმაციის ანალიზის გათვალისწინებით შექმნილი

საპროექტო წინადადება, რომელიც არსებული განაშენიანების შეცვლას, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და საცხოვრებელი ტერიტორიის შემჭიდროვების ხარჯზე გამონთავისუფლებული ტერიტორიის საზოგადოებრივ სივრცედ ტრანსფორმაციას გულისხმობს.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** თბილისი, ვაკე-საბურთალო, ურბანული ქსოვილი, საცხოვრებელი რაიონი, საზოგადოებრივი სივრცე.